

კავკასიის უნივერსიტეტი

მედიის სკოლა

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

მედია და კონფლიქტები

ქართული ტელემედიის სარედაქციო მიდგომები უკრაინაში მიმდინარე
მოვლენების გაშუქებისას

ლიკა გამხუაშვილი

სპეციალობა : მასობრივი

კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა

მე-4 კურსი, ბაკალავრიატი

ხელმძღვანელი: ნ.ჭიჭილაშვილი

გლობალური ჟურნალისტიკის მაგისტრი

თბილისი

28 მაისი, 2015

ქართული ტელემედიის სარედაქციო მიდგომები უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას

(ანოტაცია)

ლიკა გამხუაშვილი

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს ოთხი წამყვანი ქართული ტელეარხის ანალიზს უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის გაშუქებისას. კვლევა მოიცავს სამ პერიოდს:

1. რუსული პასპორტების დარიგება ყირიმში
2. ანტიტერორისტული ოპერაცია უკრაინის სხვადასხვა რეგიონებში
3. ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება

გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც ჩატარდა ოთხ ტელევიზიაზე დაკვირვებით: რუსთავი 2, იმედი, მაესტრო და საზოგადოებრივი მაუწყებელი. საკვლევ პერიოდად ავიღე 2014 წლი მარტის და მაისის და 2015 წლის მარტის თვეები.

ჩვენი ძირითადი მიზანია დავადგინოთ რომელი მოდელის მიხედვით გაშუქდა კონფლიქტი სამშვიდობო თუ საომარი?

დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი შედეგები, ანალიზი და დასკვნა.

შესავალი

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა ქართულ მედიაში დიდი ადგილი დაიკავა. ტელემედიის დღის წესრიგში თემა ყოველდღიურად შუქდება. ჩვენ დავინტერესდით მოახერხეს თუ არა ქართულმა ტელემაუწყებლებმა საკითხის ობიექტურად გაშუქება, მაშინ როდესაც კონფლიქტში ჩართული ერთ-ერთი ქვეყანა საქართველოს პოლიტიკურ მოკავშირედ მიიჩნევა, მეორეს კი ქვეყანაში ოკუპანტის სტატუსი აქვს.

საკვლევ პერიოდად ავიღე 2014 წლის მარტსა და აპრილში მიმდინარე ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაცია და ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმი.

კვლევის მიზანია, დავადგინოთ, რამდენად ხშირად აშუქებდა ქართული ტელემედია უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, იყო თუ არა ანტიტერორისტული ოპერაცია დღის მთავარი თემა და რამდენად ინარჩუნებდნენ ჟურნალისტები ობიექტურობას. მოკვლევულ მასალაზე დაკვირვებით დავადგენთ რა მოდელით აშუქებდა ქართული ტელემედია უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს სამშვიდობო თუ საომარი?

იოჰან გალტუნგის სამშვიდობო ჟურნალისტიკის კონცეფცია¹

საომარი და სამშვიდობო ჟურნალისტიკის თეორიები იოჰან გალტუნგის მიხედვით ასე გამოიყურება: სამშვიდობო ჟურნალისტიკა ყურადღებას ამახვილებს კონფლიქტის ჩამოყალიბებაზე, განსაზღვრავს მიზეზებს, დროს, სივრცეს, მიზნებს და ამ ყველაფერს ისტორიულ კონტექსტში განიხილავს. სამშვიდობო ჟურნალისტიკა ხდის გამჭვირვალეს კონფლიქტს, რადგან ის უსმენს ორივე მხარეს, არის ორიენტირებული ხალხზე და აჩვენებს ომით გამოწვეულ საერთო ტანჯვას. არის ნეიტრალური და კრეატიული. საომარი ჟურნალისტიკა ორიენტირებულია ცეცხლის სივრცეზე, სამხედრო და პოლიტიკურ ელიტაზე. მას აინტერესებს ერთი მხარე „ჩვენნი“ და ამხელს მხოლოდ ერთი მხარის ტყუილებს. საომარ ჟურნალისტიკას აინტერესებს მხოლოდ გამარჯვება და დამარცხება, კონფლიქტს ხდის ბურუსით მოცულს.

მასალა და მეთოდოლოგია

მარტსა და მაისში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაცია უკრაინაში განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა, რადგან ქართული ტელემედია საკმაოდ ინტენსიურად აშუქებდა

¹ იოჰან, გ. (1964). *journal of peace research*.

კონფლიქტის ამ ეტაპს , ხოლო რაც შეეხება ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას ამ პერიოდში ქართულმა ტელეარხებმა მრავალი სიუჟეტი მიუძღვნეს ხელშეკრულების შემდგომ მიმდინარე პროცესებს, ამ შემთხვევაში მთავარი კითხვაა, რამდენად გაამახვილეს მათ ყურადღება მშვიდობიან მოსახლეობაზე და იყვნენ თუ არა ნეიტრალურები თემის გაშუქების პროცესში.

კვლევა მოიცავს 2014 წლის მარტის და მაისის თვეებს. კონკრეტულად:

2014 წლის 3 მაისი და 3 მარტი - კურიერი (რუსთავი 2)

2014 წლის 6 მაისი და 11 მარტი - მასტროს ცხრიანი (მასტრო)

2014 წლის 2 მაისი და 9 მარტი - მოამბე (საზოგადოებრივი მაუწყებელი)

2014 წლის 4 მარტი და 9 მარტი - ქრონიკა (იმედი)

2015 წლის მარტი - პანორამა , პოსკრიპტუმი (რუსთავი 2)

კვირის შემაჯამებელი რეპორტაჟები: იმედის კვირა და პოსკრიპტუმი.

დავაკვირდი რეპორტაჟებს youtube² -ის მეშვეობით. ასევე გამოვიყენე საინფორმაციო გამოშვებების ონლაინ არქივები :³ რუსთავი 2 , იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და მასტრო.

კვლევისთვის ძირითადად გამოვიყენე თვისებრივი მეთოდი, რომელიც გამოიყენება მასალის შინაარსზე დაკვირვებისა და მისი ანალიზისთვის. შევისწავლე მეორადი ინფორმაცია, რომელიც გულისხმობს დოკუმენტის გადამუშავების და ინფორმაციული ანალიზის შედეგად მიღებულ ცნობებს.

მსგავსი კვლევა

²google, c. (2005, მაისი). *youtube*. Retrieved from youtube.

³ *იმედი*. (2001). Retrieved 2003, from <http://www.imesdi.ge/>

რუსთავი 2. (1994). Retrieved from <http://rustavi2.com/>

მასტრო. (1995 წლის თებერვალი). Retrieved 2001 from <http://maestro.ge/>

საზოგადოებრივი მაუწყებელი. (1956). From <http://1tv.ge/ge/home.html>

ქართული მედიის მიერ კონფლიქტების გაშუქების პროცესს აკვირდებოდა მედიის განვითარების ფონდი⁴. ის მონიტორინგს ახორციელებდა აფხაზეთსა და ოსეთში მიმდინარე მოვლენების გაშუქებაზე 12 მარტიდან 12 აპრილამდე. მათი კვლევის შედეგების მიხედვით ქართული მედია ამ პროცესებს არც თუ სათანადო სიხშირით აშუქებდა. და რაც მთავარია იყო ძალიან ზედაპირული ამ კონფლიქტების გაშუქებისას.

საკვლევი შეკითხვები:

1. რა სიხშირით აშუქებდა მოცემულ პერიოდში ქართული ტელემედია უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს?
2. რამდენად დაბალანსებულად იყო წარმოდგენილი კონფლიქტის ორივე მხარე?
3. იყო თუ არა კონფლიქტი განხილული ისტორიულ ჭრილში?
4. აქცენტი კეთდებოდა თუ არა მშვიდობიან მოსახლეობაზე და რა დოზით იყო წარმოდგენილი მხარეთა პოლიტიკური და სამხედრო ელიტა?
5. ჩამოთვლილი კითხვების საშუალებით შევეცდები პასუხი გავცე რა მოდელით გაშუქდა უკრაინის კონფლიქტი სამშვიდობო თუ საომარი?

რისკები

კვლევა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან, როგორც აღვნიშნე ძირითადი მასალა არის ქართული ტელეარხების არქივები, რომელთა მოპოვებაც ონლაინ წყაროებით საკმაოდ რთულია. კვლევის პროცესში რთული აღმოჩნდა ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება.

კვლევის მიმოხილვა

რუსთვი 2

2014 წლის 3 მარტი

დედლაინი - „უკრაინა ომის ზღვარზე“

ქრონომეტრაჟი - 6 წთ.

რეპორტაჟი საკმაოდ ვრცელი და დატვირთული იყო, როგორც ყირიმელი, ასევე უკრაინაში მცხოვრები ადგილობრივების კომენტარებით. თუმცა, ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ზოგად

⁴ მედიის განვითარების ფონდი. (2008 წლის აპრილი). From MDF: <http://www.mdfgeorgia.ge/>

პოლიტიკურ სიტუაციაზე, რუსეთის აგრესიაზე და უკრაინელი მოსახლეობის გასაჭირზე. ჭარბობდა სამხედრო და პოლიტიკური ელიტის აზრი.

2014 წლის 3 მაისი

დედლაინი - „ანტიტერორისტული ოპერაცია უკრაინაში“

ქრონომეტრაჟი - 3,36 წთ.

ძირითადი აქცენტი სიუჟეტში გაკეთდა საომარ სივრცეზე, დაძაბულობაზე სამხედრო და პოლიტიკურ აქტივობებზე. ნაკლებად იყო საუბარი სამშვიდობო ინიციატივებზე. შეინიშნებოდა ტენდენციურობაც, რადგან მხოლოდ უკრაინელი მოსახლეობის ინტერესები იყო გათვალისწინებული.

2014 წლის 2 მარტი - P.S.

დედლაინი - „უკრაინა ომის ზღვარზე“

ქრონომეტრაჟი - 11,1 წთ.

აქ წარმოდგენილი იყო ფაქტების სახით სხვადასხვა ქალაქებში არსებული მდგომარეობა. ძირითადად საუბარი იყო სამხედრო ოპერაციებზე. რაც შეეხება სიუჟეტს აშკარად იგრძნობოდა ჟურნალისტის უარყოფითი დამოკიდებულება ყირიმში მცხოვრები ეთნიკურად რუსი მოსახლეობის მიმართ. „ფედერალური და პროვინციული რუსი იმპერიალისტები სიმფეროპოლში შეიკრიბნენ და პირველ ხაზად უკრაინა დაასახელეს“⁵-ეს არ იყო არც პირველი და არც უკანასკნელი შეურაწმყოფელი ფრაზა ყირიმელი მოსახლეობის მიმართ. რეზორტაჟში არ იყო დაბალანსებულად წარმოჩენილი ორივე მხარე, ძირითადად საუბარი იყო რუსეთის ბნელ ზრახვებზე.

„სანამ უკრაინაში ეს ჯოჯო დგას და სანამ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, ვინც მას ყვავილებით ამკობს და მკერდით იცავს, უკრაინა ისევე იქნება ევროპისგან შორს, როგორც ლენინი მარადიული სასუფევლისგა“- ამ ფრაზით ჟურნალისტმა თავისი განწყობა საკმაოდ ხატოვნად გადმოსცა, თუმცა მიკერძოებულობა და ირონია აშკარად იგრძნობა მის ფრაზებში.

სიუჟეტი იყო ტენდენციური, არ იყო გათვალისწინებული კონფლიქტის ორივე მხარის ინტერესები. ჟურნალისტი ორიენტირებული იყო პოლიტიკურ კონტექსტზე და არ საუბრობდა ომით გამოწვეულ საერთო განსაცდელზე.

2015 წელი - P.S.

ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება

მთავარი თემა იყო უკრაინაში არსებული მდგომარეობა, ცეცხლის შეწყვეტის შემდგომ.

აქცენტი კეთდებოდა ადგილობრივ მოსახლეობაზე, მათ გასაჭირზე, მატერიალურ სიდუხჭირეზე

და ყოველდღიურ სტრესზე, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება. ეს ნამდვილად ჯდება მშვიდობიანი ჟურნალისტიკის მოდელში, თუმცა არ იყო მეორე მხარის მსხვერპლზე და ზარალზე საუბარი. კორესპონდენტი არ ინტერესდებოდა სამშვიდობო ინიციატივებით.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

2014 წლის 2 მაისი

დედლაინი - „უკრაინაში ანტიტერორისტული ოპერაცია მიმდინარეობს“
ქრონომეტრაჟი - 2,47 წთ.

აქცენტი კეთდებოდა საომარ სივრცეზე, რადგან დღის მთავარი მოვლენა იყო სამხედრო დაპირისპირება მხარეებს შორის. ძირითადად იყო დეტალები და ჟურნალისტი გვაწვდიდა ინფორმაციას კონკრეტულ შეტაკებებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ის საკმაოდ ნეიტრალური იყო და ცდილობდა არ გამოეხატა თავისი პოზიცია.

2014 წლის 9 მარტი

დედლაინი - „ულტიმატუმის ვადა იჭურება-უკრაინა ომის ზღვარზე“
ქრონომეტრაჟი - 1,2 წთ.

ამ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა მოსალოდნელ საფრთხეებზე და მოკლედ მიმოიხილავდა იმ დროისთვის არსებულ სიტუაციას. არ შეიმჩნეოდა ტენდენციურობა.

იმედი

2014 წლის 4 მარტი

დედლაინი - „პუტინის უკრაინული ენდშპილი?“
ქრონომეტრაჟი - 4,09 წთ.

„ვლადიმერ პუტინი დასავლეთს თითო უქნევს“⁶. სიუჟეტი იყო ირონიული. ჟურნალისტი აშკარად აფიქსირებდა საკუთარ დამოკიდებულებას და პოზიციას რუსეთის მიმართ. იყო აშკარად აგრესიული და მთლიანად პოლიტიკურ კონტექსტში განიხილავდა კონფლიქტს.

2014 წლის 2 მარტი - პანორამა

დედლაინი - უკრაინა ომის ზღვარზე“
ქრონომეტრაჟი - 2, 49 წთ.

წამყვანი თავის ტექსტში აქცენტს აკეთებდა აფხაზეთთან პარალელზე, ყირიმში რუსული პასპორტების დარიგებაზე საუბრისას და გამოხატავდა აშკარა აგრესიას რუსეთის მიმართ.

⁶ ლევან ჯავახიშვილის ციტატა ქრონიკის ეთერში.

2015 წელი-იმედი კვირა

ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება

რეპორტაჟი იწყებოდა სროლით, რომელშიც ჟურნალისტები მოყვნენ. რაც შესაძლოა მივიჩნიოთ იმის დასტურად, რომ ხელშეკრულების პირობები ირღვეოდა. ამ შემთხვევაში ნაკლებად იყო წარმოდგენილი ადგილობრივი მოსახლეობის სურვილები და მთელი აქცენტი გადატანილი იყო ომის სივრცეზე.

მაესტრო

2014 წლის 11 მარტი

დედლანინი - „ვითარება უკრაინაში“

ქრონომეტრაჟი - 9,41 წთ.

სიუჟეტი ინფორმაციული და ვრცელი იყო. ჟურნალისტი ერთვებოდა ყირიმიდან და მოსალოდნელ რეფერენდუმზე საუბრობდა. აღსანიშნავია, რომ მრავლად იყო ყირიმში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის კომენტარები. ისინი განმარტავდნენ, თუ რატომ სურთ რუსეთთან მიერთება. კორესპონდენტი არ გამოხატავდა საკუთარ დამოკიდებულებას და იყო ნაკლებად მიკერძოებული. ფაქტები გადმოცემული იყო მშრალად და ყურადღება გამახვილებული იყო დეტალებზე.

2015 წლის 5 მარტი

ქრონომეტრაჟი - 9,58 წთ.

სიუჟეტსში აკრიტიკებდნენ რუს ჯარისკაცებს. განსაკუთრებით იმის გამო, რომ სიმფეროპოლში ეუთოს დამკვირვებლები არ შეუშვეს. ჟურნალისტის ტონი იყო აგრესიული.

ანალიზი

2014 წლის მარტი - რუსული პასპორტების დარიგება ყირიმში.

ეს პერიოდი აღმოჩნდა გამოწვევა ქართული მედიისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთი საქართველოსთვის და უკრაინისთვის საერთო მტრად აღიქმევა. ქართული ტელეარხები მგრძნობიარეები იყვნენ ან კონფლიქტის მიმართ. აღსანიშნავია, რომ რუსთავი 2-ის და იმედის ჟურნალისტები აგრესიულობით გამოირჩეოდნენ ყირიმში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში იყო ირონიული დამოკიდებულებაც.

2014 წლის მაისი - ანტიტერორისტული ოპერაცია

მაისის თვეში უკრაინის სხვადასხვა ქალაქებსა თუ პროვინციებში მიმდინარეობდა სამხედრო დაპირისპირება, რაც ინტენსიურად შუქდებოდა ქართული ტელეარხების მიერ. ძირითადი

აქცენტი იყო სამხედრო ოპერაციებზე და პოლიტიკურ თამაშებზე. სიუჟეტებში, რომლებსაც ვაკვირდებოდი ეკლდა ანალიზი რაც კონფლიქტს უფრო ბუნდოვანს ხდიდა.

2015 წელი - ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება

მას შემდეგ რაც რუსეთი და უკრაინა მინსკში მოლაპარაკებების დროს შეთანხმდნენ, რომ სამხედრო დაპირისპირება უნდა შეწყვეტილიყო, ტელეარხების ძირითადი აქცენტი გადავიდა, ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. იყო დავა ვინ დაარღვია პირველად პირობა, სწორედ ამას მიეძღვნა იმედის კვირის რეპორტაჟი სადაც ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო სამხედრო დაპირისპირების ფაქტებზე, ამით ჟურნალისტი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კონფლიქტის ადგილზე არაფერი შეცვლილა და კვლავ არის დაპირისპირება. ამ შემთხვევაში ნაკლებად იყო მშვიდობისნი მოქალაქეების აზრი და მთელი აქცენტი ომის სივრცეზე იყო გადატანილი.

რაც შეეხება რუსთავი 2-ის ეთერში გასულ სიუჟეტს, ის იყო უფრო მშვიდობიანი მოსახლეობაზე ორიენტირებული, მათ გასაჭირზე, იმდროინდელ მდგომარეობაზე და სტრესზე, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება. თუმცა ჟურნალისტი არ ინტერესდებოდა ყირიმელი მოსახლეობის მდგომარეობით, რაც შესაძლოა ტენდენციურობად მივიჩნიოთ.

შედეგები

2014 წლის მარტის თვეში (2,3,4,9,11) იყო მეტი ტენდენციურობა, პარალელები კეთდებოდა აფხაზეთთან. რუსთავი 2 და იმედი გამოირჩეოდნენ აგრესიული ტონით ყირიმში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. რაც შეეხება მაესტროს და საზოგადოებრივ მაუწყებელს ისინი უფრო მეტად ცდილობდნენ ობიექტურობის შენარჩუნებას.

2014 წლის მაისის თვეში(2,3,6) იყო ერთფეროვანი გაშუქება, ყველა ტელევიზია აქცენტს ომის სივრცეზე და პოლიტიკურ კონტექსტზე აკეთებდა.

2015 წლის მარტის თვეში (მხოლოდ რუსთავი 2 და იმედი) რუსთავი 2 აქცენტს აკეთებდა მშვიდობიან მოსახლეობაზე, ხოლო იმედი საომარ სივრცეზე. ის რაც აერთიანებდა ამ ორ რეპორტაჟს იყო ტენდენციურობა, რადგან ორივე შემთხვევაში ერთ მხარეს ბრალდებოდა ხელშეკრულების პირობების დარღვევა.

დასკვნა

საკვლევ პერიოდში ქართული ტელეარხების საინფორმაციო ბადის დიდი ნაწილი ეთმობოდა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს.

ოთხივე ტელეარხი აშკარად უჭერდა მხარს უკრაინას და აგრესიულად იყო განწყობილი რუსეთის მიმართ. ამიტომ ამ კონფლიქტის გაშუქებას აკლდა მრავალფეროვნება , არ იყო გათვალისწინებული ყირიმში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, არავინ საუბრობდა მათ განსაცდელზე და ომით გამოწვეულ ადამიანურ და ეკონომიკურ ზარალზე.

რუსთავი 2-ის 2 მარტის და და მაესტროს 11 მარტის სიუჟეტებში ნაჩვენები იყო მშვიდობიანი მოსახლეობის კომენტარები, თუმცა სხვა შემთხვევაში დომინირებდა სამხედრო და პოლიტიკური ელიტების აზრი. ნაკლებად იყო საუბარი ომით გამოწვეულ საერთო პრობლემებზე.

მსხვერპლი ადგილობრივ მოსახლეობაში მხოლოდ ციფრებში იყო ასახული.

სამშვიდობო თუ საომარი ჟურნალისტიკა

შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტი გაშუქდა საომარი ჟურნალისტიკის მოდელით, რადგან ჟურნალისტები ორიენტირებულნი იყვნენ გამარჯვებაზე ან დამარცხებაზე ანუ ნულოვან შედეგზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1. Johan Galtung (1964) Peace Journalism of Research*
- 2. მედიის განვითარების ფონდი (mdf) 2008 წლის აპრილი*